კომისიამ იმსჯელა “ქ. თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში, I სართულზე მდებარე 63.10 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №18.966.1394 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქ. თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში, I სართულზე მდებარე 63.10 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე დოდო დავითულიანისთვის (პ/ნ 01011048728) გასაფორმებელი, ზემო აღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

6. ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340118-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქ. თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში მდებარე 18.00 კვ.მ ფართის ბინა N41-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №18.967.1393 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქ. თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში მდებარე 18.00 კვ.მ ფართის ბინა N41-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ილა ოთარაშვილისთვის (პ/ნ 01029004831) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

7. ქალაქ თბილისში, ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (ნაკვეთი N04/033) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340118-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქალაქ თბილისში, ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (ნაკვეთი N04/033) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №18.958.1405 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

8. ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340118-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №18.960.1402 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

9. ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-ში 19.00 კვ.მ ფართის ბინა N4-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.981.1235 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-ში 19.00 კვ.მ ფართის ბინა N4-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე გოდერძი ცანავასთვის (პ/ნ 60002007926) გასაფორმებელი, ზემო აღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

10. ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქ. თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუსი N17, ბინა N117-ის ფართით 60.61 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.982.1234 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქ. თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუსი N17, ბინა N117-ის ფართით 60.61 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ლიანა კაიშაურისთვის (პ/ნ 01009008376) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

11. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ის პირველ სართულზე არსებული 94.15 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.961.1401 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ის პირველ სართულზე არსებული 94.15 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე მზია ნემსაძისთვის (პ/ნ 01025020266) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

12. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქ. თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრო/რაიონის კორპუს N5-ში, ბინა N55-ის ფართით 47 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.979.1250 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქ. თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრო/რაიონის კორპუს N5-ში, ბინა N55-ის ფართით 47 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე მანანა გიგაურისთვის (პ/ნ 01019041754) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

13. ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუსი N7-ის პირველ სართულზე მდებარე 63.74 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.962.1400 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუსი N7-ის პირველ სართულზე მდებარე 63.74 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ნანა ასტამაძისათვის (პ/ნ 01027053972) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

14. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრორაიონის კორპუსი N7-ის პირველ სართულზე (II და III სადარბაზოებს შორის) მდებარე 144.43 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.963.1399 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრორაიონის კორპუსი N7-ის პირველ სართულზე (II და III სადარბაზოებს შორის) მდებარე 144.43 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ნანა ძნელაძისთვის (პ/ნ 46001014965) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

15. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532; N01.19.24.008.002.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340120-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

კომისიამ იმსჯელა “ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.964.1389 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ლუბა ჩიპლიევასთვის (პ/ნ: 01032004214) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება .

16. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის №E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ნიკა ლობჯანიძის (პ/ნ: 60001122517) გათავისუფლების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340134-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილების თანახმად, 218-ე აუქციონის მე-12 ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადებულ ფიზიკური პირს -ნიკა ლობჯანიძეს (პ/ნ: 60001122517), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადაეცა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.03.026.016). სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვრა 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა მოიჯარის მიერ უნდა განხორციელებულიყო 6 თვეში ერთხელ, საანგარიშო თვის 5 რიცხვამდე. სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განსაზღვრულია ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა 2015 წლის 18 თებერვლის N1732688 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა იჯარით გადაცემულ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დროებითი ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მოიჯარემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 თებერვლის N1732688 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ამ გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან დავის დასრულებამდე, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე N3/1946-15) ნიკა ლობჯანიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.02.2015 წლის N1732688 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება არქიტექტურის სამსახურის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინებით - თბილისის არქიტექტურის სამსახურს დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო 2016 წლის 11 მარტის განჩინებით (საქმე N330310015755902) სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის გამო, დარჩა განუხილველი. სააგენტოს 2017 წლის 15 ნოემბრის N61.011731913 ბრძანებით შეწყდა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.03.026.016) იჯარის უფლება. შეწყვეტის მდგომარეობით - საიჯარო ქირის დავალიანებამ შეადგინა 21854.80, ხოლო პირგასამტეხლოს დავალიანება შეწყვეტის მდგომარეობით განისაზღვრა 7008 (შვიდი ათას რვა) ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება საიჯარო ქირის დავალიანების სრულად დაფარვამდე. სააგენტოს 2018 წლის 14 მარტის N61-0118073102 წერილით, შემდგომი რეაგირებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არსებული საიჯარო ქირისა და

პირგასამტეხლოს დავალიანების შესახებ საქმის მასალები გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს, რომელმაც ნიკა ლობჯანიძის (პ/ნ: 60001122517) წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (საქმე N2/10320-18). 2018 წლის 30 აგვისტოს N19/01182422446-61 და 2018 წლის 3 სექტემბრის N19/01182462878-61 განცხადებებით სააგენტოს განმეორებით მიმართა ნიკა ლობჯანიძის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ ვინაიდან ნიკა ლობჯანიძემ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ ისარგებლა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ მიწის ნაკვეთით და ამის თაობაზე არაერთხელ აცნობა სააგენტოს, თუმცა საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დარიცხვა მაინც გაგრძელდა, აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოითხოვა ნიკა ლობჯანიძის ფინანსური ვალდებულებისაგან გათავისუფლება. საკრებულოს სხდომაზე საკითხი საკრებულოში იურიდიულად არასწორი ფორმულირებით წარმოდგენის გამო გადადო, რაც გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.974.1381 განკარგულებით. საკრებულოში წარმოდგენილი თანხმობისათვის წინადადება: ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ნიკა ლობჯანიძის (პ/ნ: 60001122517) გათავისუფლების საკითხი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

17. ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.15.04.029.001) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის“ (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340117-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მიმართა (NQN 1633708) შპს „არტიმ“ (ს/ნ: 437062919) და ითხოვა ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.15.04.029.001) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ

მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.15.04.029.001) 64 კვ.მ მიწის ნაკვეთი 2023 წლის 19 ივნისამდე ვადით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 1 ნოემბრის №60-01183051345 წერილის (რეგისტრ. №17-01183052471-61) სააგენტოში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (დოკუმენტი №4219380), ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 8 ნოემბრის №007735218 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 7 680 (შვიდი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარით. შესაძლებელია განხილულ იქნეს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 7 700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

18. ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის“ (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03183411-03 07.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

2008 წლის 9 ივლისის „აღნაგობის უფლებით უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულების“ და „ქ. თბილისში, გზატკეცილი კახეთი, მე-8 პოლკთან არსებული ატრაქციონის პარკის მიმდებარედ, გზატკეცილი კახეთი, მე-3 მასივის I კვარტალი, კორპ. „ვ“-ს მიმდებარედ და მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული მიწის ნაკვეთების შპს „ალმა პლიუსისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204873388), პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე 2008 წლის 9 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის N01-4/221 ბრძანების (შემდგომში - ბრძანების) საფუძველზე შპს „ალმა პლიუსს“ (ს/ნ 204873388) (უფლებამონაცვლე შპს „ალმა“) (შემდგომში - აღნაგობის უფლების მქონე) გადასასვლელი ხიდების მოწყობის მიზნით, 2023 წლამდე ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცა 13 (ცამეტი) ერთეული მიწის ნაკვეთი, მათ შორის ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი:

01.17.10.011.038). კომპანიას აგრეთვე მიეცა უფლება, გადასასვლელ ხიდზე განეხორციელებინა სარეკლამო საქმიანობა.

2018 წლის 29 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) N17-0118211147-61 წერილით მიმართა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - მუნიციპალური განვითარების ფონდმა (შემდგომში - ფონდი), შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ ქ.თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მარშალ გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე, „ვეფხვი და მოყმის“ ძეგლთან ხორციელდება სატრანსპორტო კვანძის პროექტი, სადაც მდებარეობს სარეკლამო ბანერები და ავტობუსის გაჩერება, ზემოაღნიშნული წერილის თანახმად სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2019 წლის იანვრიდან.

ასევე, ფონდის მიერ მოთხოვნილი იყო სარეკლამო ბანერების და საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელის დემონტაჟის განხორციელება (გზის გათავისუფლება), წერილში მითითებული ვადის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ 2018 წლის 14 აგვისტოს N61-011822687 კორესპოდენციით, კომპანიებს, რომელთაც მითითებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე გააჩნდათ სარგებლობის უფლება, გაგზავნილია მოთხოვნა/მითითება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მარშალ გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე, „ვეფხვი და მოყმის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციის, ასევე, სარეკლამო ბანერების დემონტაჟთან დაკავშირებით.

სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, შპს „ალმამ“ (ს/ნ 204873388) განახორციელა N01.17.10.011.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი.

ამასთან, 2018 წლის 20 ნოემბრის N10/01183243320-61 განცხადებით შპს „ალმამ“ (ს/ნ 204873388) მოითხოვა N01.10.13.016.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, აღნიშნული მოთხოვნის საფუძველიანობის დამადასტურებლად კომპანიამ სააგენტოს წარუდგინა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 28 სექტემბრის N006754018, 24 ოქტომბრის N007424918 და 19 ნოემბრის N008000818 ექსპერტიზის დასკვნები (შემდგომში - ექსპერტიზის დასკვნა).

წარმოდგენილი 2018 წლის 28 სექტემბრის N006754018 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქ.თბილისში, ვაშლიჯვრის ასახვევთან, მარშალ გელოვანის ხეივანში

გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის სამუშაოებზე შპს „ალმას“ (ს/ნ 204873388) მიერ გაწეულია 32 269.86 ლარის ოდენობით დანახარჯი.

ასევე, 2018 წლის 24 ოქტომბრის N007424918 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 2018 წლის 1 აგვისტოდან - 2023 წლის 9 ივლისამდე განვლილ პერიოდში, გადასასვლელ ხიდზე განთავსებული 200 კვ.მ სარეკლამო აბრის გაქირავებით, შპს „ალმა“ (ს/ნ 204873388) მიიღებდა 647 335 ლარს.

2018 წლის 19 ნოემბრის N008000818 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ქ.თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) ღირებულება შეადგენს 830 707 ლარს.

ასევე, 2018 წლის 20 ნოემბრის N10/01183243320-61 განცხადებაში შპს „ალმას“ (ს/ნ 204873388) მიერ აღნიშნულია, რომ N01.10.13.016.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედაც კომპანია ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და იგი მზადყოფნას გამოთქვამს დაფაროს მითითებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების, გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის ხარჯებისა და მიუღებელ შემოსავალს შორის არსებული სხვაობა, რომელიც შეადგენს 160 103 ლარს.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ალმას“ (ს/ნ 204873388) მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუწყდა სარგებლობის უფლება, შესაბამისად ის სარეკლამო საქმიანობის განხორციელების გზით ვერ მიიღებს შემოსავალს, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიამ საკუთარი ხარჯებით განახორციელა გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი და გასწია შესაბამისი ხარჯი, მიზანშეწონილია შპს „ალმას“ (ს/ნ 204873388) საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) მისი საბაზრო ღირებულების, გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის ხარჯებისა და მიუღებელ შემოსავალს შორის არსებული სხვაობის ოდენობით გადახდის გზით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

19. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე ([საკრებულოს №12-0318340117-03 06.12.2018](#))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით მიმართა (QN1621876; QN1642223) ცაბუ პატარიძემ (პ/ ნ:01030001330) და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, 5 (ხუთი) წლის ვადით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.004.01.503). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 20 სექტემბრის №60-0118291402 წერილის (რეგისტრ. №12-0118291576-61) სააგენტოში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2018 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით (დოკუმენტი №4175033), ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 29 ოქტომბრის №007520818 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 260 (ათას ორას სამოცი) ლარით. შესაძლებელია განხილულ იქნეს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 1 300 (ათას სამასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

20. ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ. №34-ის მე-6 სართულზე („ა“ ბლოკი) მდებარე ბინა №42-ის (ს/კ: №01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340121-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

მზია ნინოშვილმა (პ/ნ: 01005003810) 2018 წლის 18 სექტემბრის განცხადებით (რეგისტრ. #19/0118261115- 01) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, წლების განმავლობაში მის წინაშე არსებულ საცხოვრებელ პრობლემასთან დაკავშირებით და

ითხოვა მისი ოჯახისთვის საცხოვრებელი ბინის გადაცემა. განმცხადებელი ითხოვს გათვალისწინებულ იქნეს მისი და მისი ოჯახის დამსახურება სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე, რაც გულისხმობს 1991 წელს რაჭაში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად 110 სააგარაკე კოტეჯის სახელმწიფოსთვის გადაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ მზია ნინოშვილისთვის, როგორც სპორტულ ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონის, საქართველოს შვიდგზის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის საპატიო ოსტატის, დამსახურებისთვის, მისი ცხრასულიანი ოჯახის საბინაო პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, ცნობილია სახელმწიფო ორგანოების პოზიცია - ადრეულ წლებში, გარკვეული წერილობითი შუამდგომლობების სახით. ამ პირთან დაკავშირებით ასევე აღნიშნულია მისი ქველმოქმედების შესახებ, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკის უსასყიდლოდ გადაცემას ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტისთვის (3000 წიგნი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის (1000 წიგნი). უნდა აღინიშნოს, რომ მისი დამსახურების გათვალისწინებით, 2008 წელს თბილისის მთავრობის და სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული იყო გადაწყვეტილებები, მისთვის 4800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 72.14.13.137) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ნორმატიულ ფასად, საპრივატიზებო საფასურის ერთი წლის განმავლობაში გადახდის შესაძლებლობით. საპრივატიზებო საფასურის გადახდა ვერ შეძლო მზია ნინოშვილმა და ვერ მოხერხდა ამ მიწის ნაკვეთის მისთვის საკუთრებაში გადაცემა. ამ გარემოებების აღნიშვნით მზია ნინოშვილი მიმართავს განცხადებით ქ. თბილისის მერს და შესაძლებლობის გამონახვის შემთხვევაში ითხოვს საცხოვრებელი ბინის გადაცემას უსახლკაროდ დარჩენილი მისი ცხრასულიანი ოჯახისთვის. მზია ნინოშვილის დამსახურების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს საცხოვრებელი ბინის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის საკითხი, ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ. #34-ის მე-6 სართულზე („ა“ ბლოკი) მდებარე 97.78 კვ.მ. ფართობის ბინა #42 (ს/კ: #01.17.14.003.508.01.042).

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

21. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ: 406127016) თაობაზე (საკრებულოს №12-0318340121-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN1574562; QN1591266) მიმართა შპს „ემვეკომპანის“ (ს/კ: 406127016) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ილია

ჭავჭავაძის გამზ. #62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, 5 წლით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62-ში მდებარე 39 კვ.მ. ფართის (ს/კ: №01.14.11.003.003.01.058), 5 წლის ვადით, მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი 28/06/2017). საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 08.10.18წ. #007019518 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 08 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2592 ლარით. სააგენტოში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 01 ოქტომბრის №60-01182282608 წერილის (რეგისტრ. №12-01182741092-61; 01.10.2018წ.) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 დეკემბრის განკარგულება N18.989.1370 წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის 18 კვ.მ იჯარის ფორმით გადაცემა 2022 წლის 28 ივნისამდე, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2600 ლარის ოდენობით და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

22. ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ (ს/კ: 402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340121-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN632923; QN645788) მიმართა შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიის“ (ს/კ: 402072500) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.038.046) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, 2023 წლის 1 მაისის ჩათვლით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ.

№67-ში მდებარე 120 კვ.მ. ფართს (ს/კ: (ს/კ: №01.17.13.038.002), ხუთი წლით, აღნიშნული ფართის მესაკუთრესთან 2018 წლის 1 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი: 27/08/2018). საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #007938418 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3000 (სამი ათასი) ლარით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ოქტომბრის №60-01182993993 წერილის (რეგისტრ. №17-011830211-61; 29.10.2018წ.) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 დეკემბრის განკარგულება N18.992.1361 წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის 25 კვ.მ იჯარის ფორმით გადაცემა 2023 წლის 2 მაისამდე, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

23. ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში, კორპუს 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა №28-ის (ს/კ: №01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318340121-03 06.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

„2002 წლის 25 აპრილის ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, დროებითი თავშესაფრის სახით შეძენილი ბინების, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ან დაზარალებულ დაქვემდებარებული საცხოვრებელი სახლების მქონე მოსახლეობისათვის საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის N08.28.176 დადგენილებით გათვალისწინებული საკითხით დაინტერესებული პირი - იოსებ ჭაღიაშვილი (პ/ნ 01019020996) მოითხოვდა ქალაქ თბილისში, გლდანის ხევის კორპუს N4-ში მდებარე 47 კვ.მ ფართობის ბინა N 28-ის (ს/კ 01.11.05.002.007.01.028) გადაცემას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მონაწილეობით მიმდინარეობდა სასამართლო დავა, რის შედეგადაც, აღნიშნული პირის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და თბილისის

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ქალაქ თბილისში, გლდანის ხევის კორპუსი N4-ში მდებარე 47 კვ.მ ფართობის ბინა N 28-ის (N01.11.05.002.007.01.028) მისთვის საკუთრების უფლებით გადაცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით. ასევე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ „2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრით წარმოქმნილი პრობლემის მოგვარებისთვის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოზე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის N25.16.1198 დადგენილება ითვალისწინებდა მიწისძვრით დაზიანებული ქონების თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის (თბილისის მუნიციპალიტეტისთვის) გადაცემას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების გათვალისწინებით, იოსებ ჭაღიაშვილს უძრავი ქონება უნდა გადაეცეს მიწისძვრით დაზიანებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის გარეშე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

24. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის“ (ს/კ: 404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე ([საკრებულოს №12-0318340121-03 06.12.2018](#))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN614275; QN642397) მიმართა შპს „არქი თაუერის“ (ს/კ: 404987305) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით, 10 წლის ვადით, განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ში (ს/კ: №01.14.14.003.149) არსებულ ფართებს. სააგენტოში წარმოდგენილი 2018 წლის 19.10.18 წ. №60-01182292738 წერილის (რეგისტრ. №15-01182923014-61) თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემას, კიბის მოწყობის მიზნით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 29 ოქტომბრის #007523518 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 დეკემბრის განკარგულება N18.988.1374 წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 10 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1500 ლარის ოდენობით და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

25. ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის II მიკრო/რაიონი, ბ. ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.334) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-0318341151-03 07.12.2018)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ განსახილველად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს განცხადება, აღნიშნულით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წერილობით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და მოთხოვა, ქ. თბილისში ნუცუბიდის პლატო II კვარტალში, ჟღენტის ქუჩაზე მდებარე, წმინდა სამების სახელობის ეკლესიის (ს/კ 01.14.01.007.220) მიმდებარედ არსებული 347 კვ.მ მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად გადაცემა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიისათვის, შემდგომში მასზედ სამრეკლოსა და დამხმარე ნაგებობის მშენებლობის მიზნით. განცხადების საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ, საკითხი განსახილველად წარედგინა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულ „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიას“. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, მოისმინა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლის პოზიცია და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის, საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი განკარგვის

ფორმით, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაცემა, მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რ. სოხაძე

რევაზ სოხაძე